საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მაია წყნეთელი

მაია წყნეთელი, XVIII ს. II ნახევრის ქართველი სახალხო გმირი, მათე ყაჩაღად წოდებული. გვარი ცნობილი არაა. ზეპირსიტყვიერი გადმოცემით, მ. წ-თვის ბატონს შეურაცხყოფა მიუყენებია, რის გამოც მამამისმა თავი ჩამოიხრჩო, დედა კი შიმშილით დაიღუპა. შურისძიების გრძნობით გამსჭვალულმა კაცურად გადაცმულმა მ. წ-მა ერეკლე II-ის კარზე დაიწყო სამსახური. მას ბევრჯერ გაუთავისუფლებია მებატონეების მიერ ყიზილბაშებზე გაყიდული ქალ-ვაჟები. მებატონეთა დაბეზღებამ აიძულა ყაჩაღად გავარდნილიყო. დაღუპულა სპარსელთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

მ. წ-ის თავგადასავალი აისახა ქართ. ფოლკლორში, აგრეთვე თეატრსა და კინოში.

ლიტ.: გ ა რ ს ე ვ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ა., გმირი ქალი მათე ყაჩაღად წოდებული, ქუთ., 1915; ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე ქ., ქართული ხალხური საგმირო-საისტორიო სიტყვიერება, თბ., 1949; ქ ო რ ი ძ ე დ., სახელოვანი ქართველი ქალები, თბ., 1965.